ხელშეკრულება №01/1-2/14-69
რეკლამის განთავსების მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 8 ოქტომბერი 2015 წელი

ერთი მხრივ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია", (ს/ნ 202886788, მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2 (შემდგომში-„შემსრულებელი")), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ალექსანდრე ჯაფარიძის სახით და მეორე მხრივ, მეორე მხრივ, სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (ს/ნ 203827573, მის:ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ .№2 (შემდგომში - „დამკვეთი" („შემსყიდველი")), წარმოდგენილი თეატრის დირექტორის ნიკოლოზ სვენტიცკის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" წესდებისა და „ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ, მის ბალანსზე რიცხული ინფრასტრუქტურითა და ქონებით სარეკლამო საქმიანობის განხორციელების მიზნით გაწეული მომსახურების ღირებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 5 ნოემბრის №14.15.158 განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 „რეკლამა" - საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ბალანსზე რიცხული ინფრასტრუქტურისა და ქონების საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

1.2 „არასათანადო რეკლამა" - არაეთიკლსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, შეცდომაში შემყვანი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

1.3 „რეკლამის მომხმარებელი" - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საყურადღებოდ და/ან რომელზე შესაბამისი ზეგავლენის მოსახდენადაც ვრცელდება სარეკლამო ინფორმაცია.

1.4 „ხელშეკრულება რეკლამის განთავსების მომსახურების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსრულებელსა და დამკვეთს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, შემსრულებლის ბალანსზე რიცხულ მეტროს ვაგონებში დამკვეთისაგან მოწოდებული თეატრალური წარმოდგენის რეკლამის განთავსება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (CPV – 79341000 - სარეკლამო მომსახურებები.

3. რეკლამის განთავსების ვადა

3.1 რეკლამის განთავსების ვადა, განთავსების აქტის შედგენიდან შეადგენს 1 (ერთი) თვეს.

3.2 დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების „5.3.1" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, განსათავსებელი რეკლამის მიწოდების თითოეული ვადაგადაცილებული დღე გამოაკლდება ხელშეკრულების 3.1 პუნქტით დადგენილ რეკლამის განთავსების ვადებს.

4. რეკლამის განთავსების მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

4.1 რეკლამის განთავსების მომსახურების საერთო ღირებულება გამოიანგარიშება „ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ, მის ბალანსზე რიცხული ინფრასტრუქტურითა და ქონებით სარეკლამო საქმიანობის განხორციელების მიზნით გაწეული მომსახურების ღირებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 5 ნოემბრის №14.15.158 განკარგულების შესაბამისად და შეადგენს 1 326 (ათას სამას ოცდაექვსი) ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

4.2 დამკვეთი რეკლამის განთავსების მომსახურების საფასურს - 1 326 (ათას სამას ოცდაექვსი) ლარს (დღგ-ის ჩათვლით) იხდის ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

შემსრულებელი
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ალექსანდრე ჯაფარიძე
გენერალური დირექტორი

დამკვეთი
სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"

ნიკოლოზ სვენტიცკი
დირექტორი

4.3 დამკვეთის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, დამკვეთის მიერ გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4.4 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას იმოქმედონ წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

5.3 დამკვეთი ვალდებულია:

5.3.1 ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა მიაწოდოს შემსრულებელს განსათავსებელი რეკლამა;

5.3.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სრულად და დროულად გადაიხადოს რეკლამის განთავსების მომსახურების ღირებულება;

5.3.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, შემსრულებლის მიერ განთავსებული რეკლამის ნაცვლად, დამკვეთის მიერ სხვა, ახალი რეკლამის განთავსების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსრულებელს დამატებით გადაუხადოს განთავსებული რეკლამის დემონტაჟისა და ახალი რეკლამის მონტაჟის ღირებულება, თითოეულ სარეკლამო საშუალებაზე 150 (ასორმოცდაათი) (დღგ-ის ჩათვლით) ლარის ოდენობით;

5.3.4 რეკლამის განთავსების მომსახურების საფასურის გადახდამდე, დამკვეთის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, „4.2" პუნქტით დადგენილ ვადაში შემსრულებელს ჯარიმის სახით გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულების „4.1" პუნქტით გასაზღვრული თანხის 30%.

5.3.5 სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.4 შემსრულებელი უფლებამოსილია:

5.4.1 მის ბალანსზე რიცხულ ქონებასა და ინფრასტუქტურაზე რეკლამის განთავსების მომსახურების გაწევისათვის დამკვეთისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დროული გადახდა;

5.4.2 დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

5.5 შემსრულებელი ვალდებულია:

5.5.1 განათავსოს დამკვეთის მიერ მოწოდებული რეკლამა, მისი გადმოცემიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა;

5.5.2 განათავსოს დამკვეთის მიერ მოწოდებული რეკლამა მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულ ადგილზე და პირობებით;

5.5.3 გააცნოს დამკვეთს რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული სამუშაოების მიმდინარეობა;

5.5.4 სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.6 ვანდალიზმის ან სხვა მსგავსი ქმედების შედეგად განთავსებული რეკლამის დაზიანებისას, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დაზიანებული რეკლამის ნაცვალად განათავსოს ახალი რეკლამა და რეკლამის განთავსების შესაბამისი დღეების დამატებით აანაზღაუროს დაზიანების შედეგად გაცდენილი დღეები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი დაზიანების გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა შემსრულებელს განმეორებით მიაწვდის დაზიანებული რეკლამის ნაცვლად იგივე რეკლამას.

6. რეკლამის განთავსების დადასტურება და მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 რეკლამის განთავსების დადასტურების მიზნით, მისი განთავსების დღეს, განთავსების ადგილების აღწერით, შემსრულებელსა და დამკვეთს შორის დგება განთავსების აქტი.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, შემსრულებელსა და დამკვეთს შორის გაწეულ მომსახურებაზე დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 შემსრულებლის მხრიდან განთავსებისა და მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს აწერს სარეკლამო სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი.

შემსრულებელი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" _____ ალექსანდრე ჯაფარიძე გენერალური დირექტორი	დამკვეთი სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" _____ ნიკოლოზ სვენტიცკი დირექტორი

ქ. თბილისი 8 ოქტომბერი 2015 წელი

6.4 იმ შემთხვევაში თუ, მხარეებს შორის გაწეულ მომსახურებაზე ვერ შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულება განთავსების აქტში მითითებული თარიღიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეკლამის განთავსების ვადის მთლიან პერიოდზე.

7. რეკლამის ფორმა და შინაარსი

7.1 დამკვეთის მიერ მოწოდებული რეკლამა სრულად უნდა შეესაბამებოდეს „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს, კერძოდ:

7.1.1 იგი არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას და დაემუქროს მის უსაფრთხოებას;

7.1.2 დამკვეთს უფლება არა აქვს მოწოდებულ რეკლამაში გამოყენოს ფიზიკური პირის გამოსახულება ან თანხმობა, თუ არა აქვს ამ უკანასკნელის თანხმობა აღნიშნულზე;

7.1.3 დამკვეთის მიერ მოწოდებული რეკლამა არ უნდა ატარებდეს არასათანადო რეკლამის ხასიათს;

7.1.4 რეკლამაში განსაკუთრებული უფლებების, ობიექტების (ინტელექტუალური საკუთრების) გამოყენება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.1.5 დამკვეთის მიერ მოწოდებულმა რეკლამამ არ უნდა შელახოს რეკლამის მომხმარებელთა უფლებები.

7.1 თუ დამკვეთის მიერ მოწოდებული რეკლამა წარმოების, დიზაინის ფორმის ან/და შინაარსის ნაწილში წინააღმდეგობაში იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლით დადგენილ ვალდებულებებთან, სრული იურიდიული და ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1 მხარეთა შეთანხმებით;

8.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლით;

8.3 ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2 შემსრულებელი პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ მოწოდებული რეკლამის მასალის ხარისხზე, ფერთა სიზუსტეზე, ორთოგრაფიულ შეცდომებზე, ნაბეჭდი პროდუქციის ხარისხის, გამძლეობისა და სხვა ტიპის ხარვეზების გამო.

9.3 სარეკლამო ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს. სარეკლამო მასალაში მოცემული შინაარსის შესახებ პრეტენზიებისა ან/და საჩივრების არსებობის შემთხვევაში, დამკვეთი იღებს სრულ პასუხისმგებლობას მესამე პირების წინაშე.

9.4 დამკვეთის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და არასათანადო შესრულების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1% -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.5 დამკვეთის მიერ რეკლამის გადმოცემიდან მის განთავსებამდე პერიოდში რეკლამის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს. ასეთი დაზიანების შემთხვევაში შემსრულებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს დაზიანებული რეკლამა კვ.მ არაუმეტეს 18 (თვრამეტი) ლარისა.

შემსრულებელი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" _____ ალექსანდრე ჯაფარიძე გენერალური დირექტორი	დამკვეთი სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" _____ ნიკოლოზ სვენტიცკი დირექტორი

9.6 რეკლამის განთავსების მომსახურების გაწევის პერიოდში მეტროს ვაგონის მწობრიდან გამოსვლის ობიექტური მიზეზების გამო, მომსახურების შეჩერებისას, შემსრულებელი იღებს პასუხისმგებლობას გაცდენილ დღეებზე. კერძოდ, გაცდენილი დღეები სრულად დაემატება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკლამის განთავსების ვადებს.
9.7 დამკვეთის ინიციატივით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, „5.3.4" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დამკვეთს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რეკლამის დამკვეთის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, ხანძრით, არსებული კანონმდებლობის რადიკალური შეცვლით, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს მხარეთა საქმიანობაზე და სხვა.
10.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების „10.1" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში კომპეტენტური ორგანოდან წარმოადგინოს აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი .
10.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ხანგრძლივობა 30 დღეზე მეტხანს გრძელდება ან მათი დადგომისთანავე ცხადი გახდა, რომ მოქმედება 30 დღეზე მეტხანს გაგრძელდება, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეიტანონ ცვლილებები ხელშეკრულებაში ვალდებულებების შესრულების ვადებსა და პირობებთან დაკავშირებით ან ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება. ამგვარი მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის დროს მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ამ მომენტამდე ერთმანეთის მიმართ არსებული ყველა ვალდებულება.

11. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს უფლება არა აქვს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
12.2 წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ან რამდენიმე პუნქტის გაუქმება (მათ შორის სასამართლოს მიერ), არ იწვევს ამ ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილების მოქმედების შეწყვეტას.
12.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება და დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
12.4 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

შემსრულებელი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" ალექსანდრე ჯაფარიძე გენერალური დირექტორი	დამკვეთი სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" ნიკოლოზ სვენტიცკი დირექტორი

ქ. თბილისი 8 ოქტომბერი 2015 წელი

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788
მის. ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
სს „საქართველოს ბანკი",
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE32BG0000000127527201

დამკვეთი:

სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203827573
მის. ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. №2
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი: 7 0822 7176

შემსრულებელი
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ალექსანდრე ჯაფარიძე
გენერალური დირექტორი

დამკვეთი
სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"

ნიკოლოზ სვენტიცკი
დირექტორი

ხელშეკრულება №01/1-2/14-69
რეკლამის განთავსების მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 8 ოქტომბერი 2015 წელი

რეკლამა მეტროს ვაგონში

დანართი

№	რეკლამის ტიპი და განთავსების ადგილი	ზომა	ზომის ერთეული	1 ცალი მწებავის ფართი (კვ.მ)	1 კვ.მ-ის ერთი თვის ქირის ფასი (დღგ-ის ჩათვლით) ლარებში	ერთი ცალი მწებავის ფასი	ვადა	სარეკლამო მწებავების რაოდენობა თითოეულ ვაგონში	სარეკლამო მწებავების საერთო რაოდენობა	1 თვის ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით) ლარებში
1	სარეკლამო მწებავი მეტროს ვაგონში	0,3X0,4 0,4X0,3	კვ.მ	0,12 კვ.მ	65	7,80 ლარი	1 თვე	1 ცალი.	170ც.	1 326

შემსრულებელი
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ალექსანდრე ჯაფარიძე
გენერალური დირექტორი

დამკვეთი
სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი"

ნიკოლოზ სვენტიცკი
დირექტორი